საქართველოს მთავრობის

დადგენილება №200

2020 წლის 27 მარტი

ქ. თბილისი

2020 – 2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ

მუხლი 1

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „თ“, „ი“ და „ჰ[3]“ ქვეპუნქტების საფუძველზე და საქართველოს შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონის გათვალისწინებით, აგრეთვე „საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის №628 დადგენილების პირველი მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების მიზნით, დამტკიცდეს თანდართული „2020 – 2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების განსაზღვრის წესი“.

მუხლი 2

დაევალოს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ამ დადგენილებით განსაზღვრული ღონისძიებების კოორდინაცია, ამავე დადგენილებითა და „საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის №628 დადგენილების შესაბამისად.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი **გიორგი გახარია**

2020 – 2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების განსაზღვრის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. „2020 – 2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების განსაზღვრის წესი“ (შემდგომში – წესი) ეფუძნება „საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის №628 დადგენილებით დამტკიცებულ „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამას“ (შემდგომში – სრიგპ).

2. წესი მოიცავს „2018-2021 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამის ფარგლებში საპილოტე რეგიონების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 27 აგვისტოს №1713 განკარგულებით განსაზღვრულ საპილოტე რეგიონებში (შემდგომში – საპილოტე რეგიონები) ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ღონისძიებების ფარგლებში წარდგენილი პროექტების შერჩევის პროცედურებსა და კრიტერიუმებს და მათი დაფინანსების წესს.

3. წესი ვრცელდება სრიგპ-ის პრიორიტეტის/ღონისძიების/ ქვეღონისძიების ფარგლებში შესარჩევ იმ პროექტებზე, რომლებიც ფინანსდება შესაბამისი წლ(ებ)ის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში.

4. წესით განსაზღვრული პროექტების შერჩევის პროცედურები და კრიტერიუმები, აგრეთვე მათი დაფინანსების წესი მოიცავს სრიგპ-ით გათვალისწინებულ პროგრამას/პროექტს.

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 21 მაისის დადგენილება №233 – ვებგვერდი, 24.05.2021წ.

მუხლი 2. სრიგპ-ის ფარგლებში პროექტის/პროგრამის დაფინანსების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებები

1. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო (შემდგომში – სამინისტრო) ყოველწლიურად ამზადებს, სრიგპ-ის ეფექტიანად განხორციელების მიზნით, სამოქმედო გეგმას და წარუდგენს საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიას (შემდგომში – კომისია) მოსაწონებლად.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სამოქმედო გეგმა უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) სრიგპ-ით გათვალისწინებული პროგრამის პრიორიტეტებისა და საპილოტე რეგიონებისათვის ყოველწლიურად განსაკარგი ჯამური თანხის შესახებ;

ბ) სრიგპ-ით გათვალისწინებული პროგრამის თითოეული პრიორიტეტისთვის/ღონისძიებისთვის ან/და ქვეღონისძიებისთვის განსაკარგი თანხის შესახებ, შესაბამისი რეგიონისთვის;

გ) სრიგპ-ის ფარგლებში კონკურს(ებ)ის გამოცხადების განრიგის შესახებ;

დ) სრიგპ-ის განხორციელების კოორდინაციისა და მონიტორინგის აქტივობების შესახებ;

ე) საჭიროებისამებრ, მომდევნო საბიუჯეტო წლის საპროგნოზო მონაცემების ფარგლებში, ამ უკანასკნელისა და მიმდინარე საბიუჯეტო წლის ჯამური განსაკარგი თანხების ფარგლებში, ამ პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციის შესახებ;

ვ) სხვა ინფორმაციას, რომელიც უზრუნველყოფს სრიგპ-ის ეფექტიან განხორციელებას.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სამოქმედო გეგმის მოწონებით კომისია განსაზღვრავს სრიგპ-ით გათვალისწინებული პროგრამის პრიორიტეტებისა და საპილოტე რეგიონებისათვის ყოველწლიურად განსაკარგ ჯამურ თანხას და საქართველოს მთავრობას წარმოუდგენს დასამტკიცებლად.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სამოქმედო გეგმა უნდა შემუშავდეს არაუგვიანეს შესაბამისი წლის 1 ივნისისა.

5. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების მიზნით, სამინისტრო კომისიის შესაბამის გადაწყვეტილებას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, წარმოუდგენს საქართველოს მთავრობას საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტთან ერთად შესაბამისი თანხების გამოყოფის თაობაზე.

6. საქართველოს მთავრობის მიერ ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების შემდეგ კომისია, პროექტების შერჩევის მიზნით, უფლებამოსილია, განახორციელოს ამ წესით განსაზღვრული ღონისძიებები.

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 21 მაისის დადგენილება №233 – ვებგვერდი, 24.05.2021წ.

მუხლი 3. სრიგპ-ის ფარგლებში კონკურს(ებ)ის გამოცხადება

1. კონკურს(ებ)ი იგეგმება და ცხადდება სრიგპ-ის განხორციელების წლიური სამოქმედო გეგმის, მათ შორის, ამ წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მონაცემების საფუძველზე.

2. კონკურს(ებ)ის გამოცხადების მიზნით, სამინისტრო შეიმუშავებს საკონკურსო პირობებს და შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად წარუდგენს კომისიას.

3. კონკურს(ებ)ის მიზნებისათვის, უფლებამოსილების გათვალისწინებით, კომისია უფლებამოსილია, დააზუსტოს სრიგპ-ით გათვალისწინებული საკითხები, მათ შორის, გრანტის მიმღებები, აგრეთვე პროგრამის/პროექტის ღირებულების მინიმალური ან/და მაქსიმალური ზღვრები.

4. კომისიის მიერ ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად საკონკურსო პირობების მოწონების შემთხვევაში, სრიგპ-ის განხორციელების წლიური სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული განრიგის მიხედვით, ცხადდება შესაბამისი კონკურს(ებ)ი.

5. კონკურს(ებ)ის გამოცხადებას უზრუნველყოფს სამინისტრო.

6. კონკურს(ებ)ი ცხადდება სამინისტროს ვებგვერდზე – www.mrdi.gov.ge. ასევე კონკურს(ებ)ის გამოცხადების თაობაზე ინფორმაცია ქვეყნდება საპილოტე რეგიონების შესაბამისად სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის ვებგვერდებზე: www.imereti.gov.ge; www.guria.gov.ge; www.kakheti.gov.ge; www.rls.gov.ge.

7. კომისიის მიერ, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ამ წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მომდევნო საბიუჯეტო წლის საპროგნოზო მონაცემების საფუძველზე კონკურსის გამოცხადების შემთხვევაში, მომდევნო საბიუჯეტო წლის თანხის ათვისება განხორციელდება შესაბამისი წლის ბიუჯეტის ასიგნებების ფარგლებში.

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 21 მაისის დადგენილება №233 – ვებგვერდი, 24.05.2021წ.

მუხლი 4. განაცხადების მომზადება კონკურსანტის მიერ

1. კონკურს(ებ)ი შესაძლოა, გამოცხადდეს როგორც ერთეტაპიანი, ისე ორეტაპიანი შეფასების პროცედურების მიხედვით.

2. კონკურს(ებ)ის ერთეტაპიანი შეფასების პროცედურით გამოცხადების შემთხვევაში, კონკურსანტის მიერ განაცხადი ივსება საპროექტო წინადადების სრული განაცხადის ფორმით, დანართ №2-ისა და დანართ №3-ის შესაბამისად.

3. კონკურს(ებ)ის ორეტაპიანი შეფასების პროცედურით გამოცხადების შემთხვევაში, კონკურსანტის მიერ შერჩევის პირველ ეტაპზე განაცხადი ივსება საპროექტო იდეების განაცხადის ფორმით, დანართ №1-ის შესაბამისად, ხოლო მეორე ეტაპზე, მხოლოდ პირველ ეტაპზე მის მიმართ დადებითი გადაწყვეტილების არსებობის შემთხვევაში, კონკურსანტის მიერ განაცხადი ივსება საპროექტო წინადადების სრული განაცხადის ფორმით – დანართ №2-ისა და დანართ №3-ის შესაბამისად.

4. ამ მუხლით დადგენილი განაცხადის ფორმები არ გამოიყენება ცენტრალურ დონეზე (სრიგპ-ის მესამე პრიორიტეტის ფარგლებში) გამოსაცხადებელ კონკურს(ებ)თან მიმართებით. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, კონკურსანტებისათვის კომისია უფლებამოსილია, საკონკურსო პირობებში დაადგინოს განაცხადის გაკეთების ფორმა.

5. კონკურსის შეფასების პროცედურების მიხედვით, კონკურსანტი უფლებამოსილია, მიმდინარე საბიუჯეტო წელს წარადგინოს საპროექტო იდეის განაცხადი/საპროექტო წინადადების სრული განაცხადი, ხოლო პროექტის შერჩევის შემთხვევაში, დაიწყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვების განხორციელების მიზნით სათანადო პროცედურები, მათ შორის, მომდევნო საბიუჯეტო წლისათვის პროექტების განხორციელების მიზნით.

მუხლი 5. პროექტის შეფასება

1. პროექტის შეფასებას ახორციელებს სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის შესაბამისი სამსახური (შემდგომში – სამსახური), რომელიც აფასებს წარდგენილ საპროექტო იდეების განაცხადებსა და საპროექტო წინადადებების სრულ განაცხადებს, ამ დადგენილების დანართ №4-ით გათვალისწინებული შეფასების კრიტერიუმების შესაბამისად.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიზნით, სამსახური უფლებამოსილია, მიიწვიოს სხვადასხვა ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენლები ან/და მიიწვიოს შესაბამისი ექსპერტ(ებ)ი.

3. ამ წესის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული კონკურს(ებ)ის ფარგლებში წარდგენილი პროგრამები ფასდება საკონკურსო პირობების შესაბამისად, კომისიის მიერ შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ.

მუხლი 6. შეფასების პროცედურა

1. შეფასების ფარგლებში პროექტი გადის ადმინისტრაციული და შესაბამისობის შემოწმებისა და ტექნიკური ქულის მინიჭების პროცესებს, ამ დადგენილების დანართ №4-ის შესაბამისად.

2. შეფასება შესაძლებელია, იყოს ერთეტაპიანი ან ორეტაპიანი, საკონკურსო პირობების შესაბამისად.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის გათვალისწინებით, ერთეტაპიანი შეფასება გულისხმობს კონკურსის შინაარსის შესაბამისად პროექტის შეფასებას, მხოლოდ საპროექტო წინადადების სრული განაცხადის საფუძველზე.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტის გათვალისწინებით, ორეტაპიანი შეფასების დროს პირველ ეტაპზე ფასდება საპროექტო იდეა, ხოლო მეორე ეტაპზე – საპროექტო წინადადების სრული განაცხადი.

5. დაუშვებელია, შეფასებაში ჩართული პირები იყვნენ კონკურსანტის წარმომადგენლები.

6. სამსახურის მიერ საპროექტო იდეების განაცხადებისა და საპროექტო წინადადებების სრული განაცხადების შეფასების შედეგად, ამ დადგენილების დანართ №4-ით გათვალისწინებული შესაბამისი შეფასების მაქსიმალური ქულებიდან თითოეულზე არანაკლებ 70%-ით შეფასების შემთხვევაში, პროექტს წარუდგენს სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს (შემდგომში – საბჭო), ხოლო სტრატეგიული მნიშვნელობის პროექტების შემთხვევაში – კომისიას.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ სტრატეგიული მნიშვნელობის პროექტად მიიჩნევა პროექტი, რომლისთვისაც მოთხოვნილი დაფინანსების სავარაუდო ღირებულება შეადგენს ან აღემატება ხუთ მილიონ ლარს.

8. ამ მუხლით გათვალისწინებული შეფასების პროცედურის დროს მოწმდება, რომ საპროექტო წინადადების სრული განაცხადის წარდგენამდე არსებობს შესაბამისი მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილება პროექტის მოწონებისა და შემდგომი მსვლელობის მისაცემად შესაბამისი ღონისძიებების განხორციელების თაობაზე.

მუხლი 7. შერჩევის პროცედურები

1. კონკურს(ებ)ის ფარგლებში პროექტის შერჩევას ახორციელებს საბჭო ან კომისია.

2. ცენტრალურ დონეზე (სრიგპ-ის მესამე პრიორიტეტის ფარგლებში) გამოცხადებულ კონკურსში პროგრამებსა და სტრატეგიული მნიშვნელობის პროექტებს შეარჩევს კომისია, ხოლო ყველა სხვა შემთხვევაში, პროექტის შერჩევას ახორციელებს საბჭო.

3. ერთეტაპიან შეფასებას დაქვემდებარებული პროექტის შერჩევისას საბჭო ან სტრატეგიული პროექტების შემთხვევაში – კომისია ირჩევს ამ დადგენილებით განსაზღვრული წესით შეფასებულ სრულ საპროექტო განაცხადს.

4. კონკურსის შინაარსის გათვალისწინებით, ორეტაპიანი შეფასების შემთხვევაში, ამ დადგენილებით განსაზღვრული წესით პირველ ეტაპზე შეირჩევა საპროექტო იდეა, ხოლო მეორე ეტაპზე – საპროექტო წინადადების სრული განაცხადი, მხოლოდ პირველ ეტაპზე საპროექტო იდეის მოწონების შემთხვევაში.

5. კონკურსის შინაარსის გათვალისწინებით, კონკურსანტის მიერ წარდგენილ სრულ საპროექტო განაცხადს თან უნდა ერთოდეს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, შესაბამისი დადებითი საექსპერტო დასკვნით და საპროექტო დოკუმენტაციის მიღება-ჩაბარების ხელმოწერილი აქტის ასლი.

6. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებისათვის საჭირო ხარჯების (მათ შორის, საპროექტო და საექსპერტო მომსახურების ხარჯების) დაფინანსება არ ხორციელდება სრიგპ-ის ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯებიდან.

7. საბჭოსა და კომისიის მიერ პროექტები შეირჩევა მათ მიერ გადაწყვეტილების მიღებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. საბჭოს მიერ შერჩეული საპროექტო იდეის განაცხადის თაობაზე ინფორმაცია მიეწოდება კომისიას, ხოლო საპროექტო წინადადების სრული განაცხადი ექვემდებარება კომისიის მიერ შემოწმებას, ამ წესით განსაზღვრულ პროცედურებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

9. ამ წესის მე-6 მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული სტრატეგიული მნიშვნელობის პროექტის არსებობის შემთხვევაში, კომისიაზე დამატებით წარდგენილი უნდა იქნეს „საინვესტიციო პროექტების მართვის გზამკვლევის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 22 აპრილის №191 დადგენილებით დამტკიცებული საინვესტიციო პროექტების მართვის გზამკვლევით გათვალისწინებული დოკუმენტი.

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 21 მაისის დადგენილება №233 – ვებგვერდი, 24.05.2021წ.

მუხლი 8. დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილება

1. ცენტრალურ დონეზე (სრიგპ-ის მესამე პრიორიტეტის ფარგლებში) შერჩეული პროგრამებისა და სტრატეგიული მნიშვნელობის პროექტების დაფინანსების საფუძველს წარმოადგენს კომისიის შესაბამისი დადებითი გადაწყვეტილება.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული შემთხვევების გარდა ყველა სხვა შემთხვევაში დაფინანსების საფუძველს წარმოადგენს საბჭოს შესაბამისი დადებითი გადაწყვეტილება.

3. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების გათვალისწინებით, სამინისტრო კომისიის შესაბამის გადაწყვეტილებას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, საქართველოს მთავრობას წარმოუდგენს საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტთან ერთად თანხების გამოყოფის თაობაზე.

4. (ამოღებულია - 21.05.2021, №233).

5. გრანტის მიმღებს, პროექტის განხორციელების მიზნით, თანხა გადაეცემა მის მიერ გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე, მათ შორის, შესრულებული სამუშაოების მოცულობის გათვალისწინებით. ცენტრალურ დონეზე (სრიგპ-ის მესამე პრიორიტეტის ფარგლებში) პროექტის განხორციელების მიზნით, გრანტის მიმღებს თანხა გადაეცემა მის მიერ წარდგენილი პროგრამის შინაარსის გათვალისწინებით.

6. ამ მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე გამოყოფილი სახსრების ფარგლებში თანხების კანონიერად, მიზნობრივად და რაციონალურად განკარგვაზე პასუხისმგებელია შესაბამისი გრანტის მიმღები.

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 21 მაისის დადგენილება №233 – ვებგვერდი, 24.05.2021წ.

მუხლი 9. ინფორმაციის საჯაროობა

1. კონკურს(ებ)ის საფუძველზე გაცემული გრანტების შესახებ ინფორმაცია საჯაროა და ის უნდა გამოქვეყნდეს შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 10 დღისა სამინისტროს ვებგვერდზე.

2. შესაბამისი გადაწყვეტილების მიმღების მიერ კონკურსანტს ეცნობება მის განაცხადზე მიღებული დადებითი ან უარყოფითი გადაწყვეტილების შესახებ.

მუხლი 10. ეკონომიის/ფინანსური რესურსის გამოყენების წესი

1. გრანტის მიმღები ვალდებულია, სრიგპ-ის ფარგლებში მიღებული თანხიდან დარჩენილი ეკონომია/ფინანსური რესურსი შესაბამისი ეკონომიის/ფინანსური რესურსის წარმოშობიდან არა უგვიანეს მომდევნო კალენდარული თვის ბოლო რიცხვისა დააბრუნოს სახელმწიფო ბიუჯეტში.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანხების ფარგლებში, შესაძლებელია სრიგპ-ისა და ამ დადგენილებით განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელება ამავე დადგენილებით განსაზღვრული წესით.

მუხლი 11. დაფინანსებული პროექტების განხორციელების მიმდინარეობის შემოწმება

1. სამინისტრო ან/და სახელმწიფო რწმუნებული უფლებამოსილია, გრანტის მიმღებებისგან გამოითხოვოს ინფორმაცია/დოკუმენტაცია დაფინანსებული პროექტის მიმდინარეობის შესახებ. გრანტის მიმღები ვალდებულია, მოთხოვნიდან 10 დღის ვადაში წარუდგინოს სამინისტროს მოთხოვნილი ინფორმაცია/დოკუმენტები.

2. სამინისტრო ან/და სახელმწიფო რწმუნებული უფლებამოსილია, განახორციელოს დაფინანსებული პროექტის ადგილზე დათვალიერება, რაც გულისხმობს აღნიშნული პროექტების განხორციელების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის გადამოწმებას.

3. სამინისტრო ან/და სახელმწიფო რწმუნებული ამ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე გამოთხოვილი ინფორმაციის/დოკუმენტების და ამ მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე განხორციელებული ადგილზე დათვალიერების შედეგების შესახებ ინფორმაციას პერიოდულად წარუდგენს კომისიას, რომელიც, თავის მხრივ, უფლებამოსილია, გრანტის მიმღებს მისცეს რეკომენდაციები პროექტის სრულყოფილად და შეუფერხებლად განხორციელებისათვის.

4. სამინისტრო უფლებამოსილია, განახორციელოს ამ მუხლით გათვალისწინებული ღონისძიებები ცენტრალურ დონეზე (სრიგპ-ის მესამე პრიორიტეტის ფარგლებში) შერჩეულ პროგრამებსა და სტრატეგიული მნიშვნელობის პროექტებთან მიმართებით.

5. სამინისტრო კომისიას წარუდგენს წლიურ ანგარიშს დაფინანსებული პროგრამების/პროექტების განხორციელების თაობაზე.

მუხლი 12. კოორდინაცია და მონიტორინგი

1. სამინისტრო უზრუნველყოფს, სრიგპ-ის ეფექტიანად განხორციელების მიზნით, შესაბამისი კოორდინაციისა და მონიტორინგის განხორციელებას სრიგპ-ის ინდიკატორების საფუძველზე, უფლებამოსილების ფარგლებში.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კოორდინაცია და მონიტორინგი ხორციელდება პერიოდულად და ის ქმნის წლიური ანგარიშის შემუშავების საფუძველს.

3. გრანტის მიმღებები ვალდებულები არიან, შეავსონ მონიტორინგისა და საინფორმაციო ფორმები.

4. ცენტრალურ დონეზე (სრიგპ-ის მე-3 პრიორიტეტის ფარგლებში) შემუშავებული პროგრამის/პროექტების განმახორციელებელი პირები/უწყებები ვალდებულნი არიან, დადგენილი წესით მოამზადონ შესაბამისი ინფორმაცია და წარუდგინონ სამინისტროს.

დანართი 1. საპროექტო იდეის განაცხადის ფორმა

საპროექტო იდეის ფორმის ნიმუში შესაძლებელია შეიცვალოს საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ, რათა მასში უკეთ აისახოს პროგრამის თითოეული ღონისძიების/ქვე-ღონისძიების ფარგლებში გამოცხადებული საპროექტო იდეის კონკურსის სპეციფიკა. საპროექტო იდეის ფორმის ნიმუში წარმოდგენილი იქნება საპროექტო წინადადებების კონკურსის დოკუმენტაციასთან ერთად.

საპროექტო იდეის სახელწოდება	*შემოთავაზებული პროექტის მოკლე სახელწოდება მის შინაარსზე მითითებით;*
სრიგპ-სთან შესაბამისობა	*გთხოვთ, მიუთითოთ სრიგპ-ს პრიორიტეტის და ღონისძიების (ქვე-ღონისძიების) დასახელება და ნომერი, რომლის ფარგლებშიც წარმოდგენილია თქვენი საპროექტო იდეა:*
საპროექტო იდეის წარმდგენი	*გთხოვთ, მიუთითოთ საპროექტო იდეის წარმდგენი.* *<u>იმ შემთხვევაში თუ საპროექტო იდეის წარდგენა სხვა უწყებებთან/ორგანიზაციებთან თანამშრომლობით ხდება, გთხოვთ წარმოადგინოთ შესაბამისი ინფორმაცია:</u>*
განხორციელების ადგილი	*რეგიონი:*
	მუნიციპალიტეტი:
	ქალაქი, დაბა, სოფელი:
პროექტის მიზანი/მიზნები	*გთხოვთ, ჩამოთვალოთ პროექტის მიზნები. მიუთითეთ სრიგპ-ს შესაბამის ღონისძიებისა და გამოცხადებული კონკურსის მიზნებთან შესაბამისობა.*
მოსალოდნელი შედეგები	*გთხოვთ, დაასახელოთ მოსალოდნელი შედეგები (მაქსიმუმ 2-3 შედეგი), რომელსაც პროექტის განხორციელება მოუტანს მოსახლეობას, ეკონომიკას ან მუნიციპალიტეტს. ასევე, მიუთითეთ კავშირი სრიგპ-ის შესაბამის ღონისძიების/ქვე-ღონისძიების შედეგებზე ან კონკურსის პირობებით განსაზღვრულ შედეგებზე (იმ შემთხვევაში, თუ ისინი განსაზღვრულია).* *1. …* *2. ….* *3. ….*
საპროექტო იდეის აღწერა / დასაბუთება	*გთხოვთ, წარმოადგინოთ საპროექტო იდეის მოკლე აღწერილობა, მის სოციალურ-ეკონომიკურ როლზე და მის მიერ ადგილობრივ და რეგიონულ მასშტაბით ზეგავლენაზე აქცენტის გაკეთებით.* *გთხოვთ, დაასაბუთოთ რატომ უნდა განხორციელდეს ეს პროექტი.* *დაასახელეთ ის პრობლემები, რომელთა მოგვარებასაც ემსახურება პროექტის განხორციელება, პოტენციალი, რომელიც შეიძლება განვითარდეს პროექტის განხორციელებით. ასევე, მიუთითეთ შესაბამისი რეგიონის განვითარების სტრატეგიასთან, ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმასთან, სხვა შესაბამის სტრატეგიულ დოკუმენტებთან ან/და სრიგპ-ში მოცემულ ღონისძიებებთან კავშირი:*
ძირითადი აქტივობები	

	გთხოვთ, ჩამოთვალოთ ის ძირითადი აქტივობები, რომლებიც აუცილებელია პროექტის განსახორციელებლად და ის სამუშაოები ან მომსახურებები, რომლებიც პროექტის ფარგლებში უნდა დაფინანსდეს:
ურთიერთშევსებადობა	*გთხოვთ, მიუთითოთ, ეს პროექტი წარმოადგენს თუ არა სხვა წყაროებიდან დაფინანსებული პროექტების გაგრძელებას/გაფართოებას.* *გთხოვთ, აღწეროთ, არის თუ არა ეს პროექტი ინტეგრირებული ხასიათის - ანუ ის დაკავშირებულია თუ არა სხვა პროექტებთან ან არის თუ არა უფრო ფართო გეგმის (მაგალითად, რეგენერაციის გეგმის, სატრანსპორტო გეგმის, ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის და ა.შ.) განხორციელების ნაწილი. თუ ეს ასეა, გთხოვთ, წარმოადგინოთ ინფორმაცია განხორციელების წყაროს, ღირებულებისა და დროის შესახებ:*
პროექტის მდგრადობა	*გთხოვთ, მიუთითოთ მოვლა-პატრონობისა და ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინასების წყარო (ადგილობრივი ბიუჯეტი, დონორი, სხვა):*
საპროექტო იდეის სტატუსი	*გთხოვთ, მიუთითოთ, არსებობს თუ არა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია და შესაბამისი დადებითი საექსპერტო დასკვნა:*
მოთხოვნილი მხარდაჭერა	*გთხოვთ, წარმოადგინოთ ინფორმაცია მოსალოდნელი ფინანსური მხარდაჭერის მოთხოვნის შესახებ:*
ვადები	*გთხოვთ, მიუთითოთ პროექტის განხორციელების საორიენტაციო დრო (თვეებში):*
პროექტის საერაუდო ბიუჯეტი და მოთხოვნილი გრანტი	*გთხოვთ, მიუთითოთ პროექტის მთლიანი ღირებულება (ლარი), დაფინანსების სხვა წყაროებიდან მოზიდული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):* *1. სრიგპ –* *2. პროექტის ტექნიკური დოკუმენტაციის მომზადების ხარჯები -* *3. საკუთარი თანადაფინანსება –* *4. სხვა წყაროები –* *5. მთლიანი ბიუჯეტი –*
პროექტის მომზადებაზე პასუხისმგებელი პირის სახელი და გვარი და საკონტაქტო მონაცემები	*გთხოვთ, მიუთითოთ პროექტის მომზადებაზე პასუხისმგებელი პირის სახელი და გვარი, თანამდებობა და საკონტაქტო მონაცემები (ტელეფონის ნომერი, ელ.ფოსტა):*

დანართი 2. საპროექტო წინადადებების სრული განაცხადის ფორმა

საპროექტო წინადადების ფორმის ნიმუში შესაძლებელია შეიცვალოს საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ, რათა მასში უკეთ აისახოს პროგრამის თითოეული ღონისძიების/ქვე-ღონისძიების ფარგლებში გამოცხადებული საპროექტო წინადადებების კონკურსის სპეციფიკა. სრული განაცხადის ფორმის ნიმუში წარმოდგენილი იქნება საპროექტო წინადადებების კონკურსის დოკუმენტაციასთან ერთად.

1. ზოგადი ინფორმაცია

საპროექტო წინადადების სახელწოდება	*შემოთავაზებული საპროექტო წინადადების მოკლე სახელწოდება, მის შინაარსზე მითითებით:*
სრიგპ-სთან შესაბამისობა	*გთხოვთ, მიუთითოთ სრიგპ-ს პრიორიტეტის და ღონისძიების (ქვე-ღონისძიების) დასახელება და ნომერი, რომლის ფარგლებშიც წარმოდგენილია თქვენი პროექტი :*
საპროექტო წინადადების წარმდგენი	*გთხოვთ, მიუთითოთ საპროექტო განაცხადის წარმდგენი:*
	ინტეგრირებული პროექტების შემთხვევაში, მიუთითეთ მთავარი განმცხადებელი და თანა-განმცხადებლების სახელები და გვარები:
	გთხოვთ მიუთითოთ საპროექტო განაცხადის წარმდგენის მისამართი:
	გთხოვთ მიუთითოთ საპროექტო განაცხადის წარმდგენის ელ.ფოსტა:
პროექტზე პასუხისმგებელი პირის საკონტაქტო ინფორმაცია	*გთხოვთ მიუთითოთ პროექტზე პასუხისმგებელი პირის სახელი და გვარი:*
	გთხოვთ მიუთითოთ პროექტზე პასუხისმგებელი პირის თანამდებობა:
	გთხოვთ მიუთითოთ პროექტზე პასუხისმგებელი პირის ტელეფონის ნომერი:
	გთხოვთ მიუთითოთ პროექტზე პასუხისმგებელი პირის ელ.ფოსტა:
განხორციელების ადგილი	*რეგიონი:*
	მუნიციპალიტეტი:
	ქალაქი, დაბა, სოფელი:
სამიზნე ჯგუფი/ ბენეფიციარები	*გთხოვთ განსაზღვრეთ პროექტის მთავარი ბენეფიციარები ან პროექტის სამიზნე ჯგუფი:*
პროექტის მთლიანი ბიუჯეტი	*გთხოვთ, მიუთითოთ განსახორციელებლად შემოთავაზებული პროექტის სავარაუდო ღირებულება:*

თანადაფინანსების ოდენობა	*გთხოვთ, მიუთითეთ პროექტის ღირებულების საკუთარი რესურსებიდან თანადაფინანსების პროცენტული მაჩვენებელი:*
პროექტის განხორციელების დრო	*გთხოვთ მიუთითეთ პროექტის განხორციელების დრო (თვეების რაოდენობა):*
	გთხოვთ მიუთითეთ განხორციელების დაწყების დაგეგმილი თარიღი (სამუშაოების ან მომსახურებების შესახებ კონტრაქტის ხელმოწერიდან):
	გთხოვთ მიუთითეთ განხორციელების დასრულების დაგეგმილი თარიღი (მიღება-ჩაბარების აქტი):

2. პროექტის აღწერა და დასაბუთება

პროექტის მიზანი/მიზნებია	*გთხოვთ, ჩამოთვალოთ პროექტის მიზნები. მიუთითეთ სრიგპ-ს შესაბამის ღონისძიებისა და გამოცხადებული კონკურსის მიზნებთან შესაბამისობა.*
მოსალოდნელი შედეგები	*გთხოვთ, დაასახელოთ მოსალოდნელი შედეგები (მაქსიმუმ 2-3 შედეგი), რომელსაც პროექტის განხორციელება მოუტანს მოსახლეობას, ეკონომიკას ან მუნიციპალიტეტს. ასევე, მიუთითეთ კავშირი სრიგპ-ის შესაბამის ღონისძიების/ქვე-ღონისძიების შედეგებზე ან კონკურსის პირობებით განსაზღვრულ შედეგებზე (იმ შემთხვევაში, თუ ისინი განსაზღვრულია).* • .... • .... • ....
პროექტის აღწერა / დასაბუთება	*გთხოვთ, წარმოადგინოთ პროექტის მოკლე აღწერილობა, მის სოციალურ-ეკონომიკურ როლზე და მის მიერ ადგილობრივ და რეგიონულ მასშტაბით ზეგავლენაზე აქცენტის გაკეთებით.* *გთხოვთ, დაასაბუთოთ რატომ უნდა განხორციელდეს ეს პროექტი.* *დაასახელეთ ის პრობლემები, რომელთა მოგვარებასაც ემსახურება პროექტის განხორციელება, პოტენციალი, რომელიც შეიძლება განვითარდეს პროექტის განხორციელებით. ასევე, მიუთითეთ შესაბამისი რეგიონის განვითარების სტრატეგიასთან, ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმასთან, სხვა შესაბამის სტრატეგიულ დოკუმენტებთან ან/და სრიგპ-ში მოცემულ ღონისძიებებთან კავშირი:* *მაქსიმუმ 300 სიტყვა:*
ძირითადი აქტივობები	*გთხოვთ, ჩამოთვალოთ ის ძირითადი აქტივობები, რომლებიც აუცილებელია პროექტის განსახორციელებლად და ის სამუშაოები ან მომსახურებები, რომლებიც პროექტის ფარგლებში უნდა დაფინანსდეს:*

ინდიკატორები და მიზნები	*გთხოვთ, განსაზღვროთ ზუსტი ინდიკატორები და მათი შესაბამისი სამიზნეები იმ ინდიკატორებზე და სამიზნეებზე მითითებით, რომლებიც გამოყენებულია სრიგპ-ს შესაბამისი ღონისძიების ფარგლებში:*
	საბოლოო შედეგის ინდიკატორ(ებ)ი:
	მყისიერი შედეგის ინდიკატორ(ებ)ი:
სხვა პროექტებთან ურთიერთშეთავსება დობა	*გთხოვთ, მიუთითოთ ეს პროექტი წარმოადგენს თუ არა სხვა წყაროებიდან დაფინანსებული პროექტების გაგრძელებას/გაფართოებას.* *გთხოვთ, აღწეროთ არის თუ არა ეს პროექტი ინტეგრირებული ხასიათის - ანუ ის დაკავშირებულია თუ არა სხვა პროექტებთან ან არის თუ არა უფრო ფართო გეგმის (მაგალითად, რეგენერაციის გეგმის, სატრანსპორტო გეგმის, ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის და ა.შ.) განხორციელების ნაწილი. ასეთ შემთხვევაში, გთხოვთ წარმოადგინოთ ინფორმაცია განხორციელების წყაროს, ღირებულებისა და დროის შესახებ:*
პროექტის მდგრადობა	*გთხოვთ, მიუთითოთ მოვლა-პატრონობისა და ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინასების წყარო(ადგილობრივი ბიუჯეტი, დონორი, სხვა):*

3. განხორციელება და დაფინანსება

პროექტის მომზადების სტატუსი	*გთხოვთ, წარმოადგინოთ ინფორმაცია პროექტის მომზადების სტატუსის შესახებ. გთხოვთ, მიუთითოთ მომზადებულია თუ არა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია და შესაბამისი დადებითი საექსპერტო დასკვნა*
	გთხოვთ, მიუთითოთ არსებობს თუ არა პროექტის განხორციელების თაობაზე მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილება პროექტის მოწონების და შემდგომი მსვლელობის მისაცემად შესაბამისი ღონისძიებების განხორციელების თაობაზე:
	პროექტთან ერთად წარდგენილი დოკუმენტების ნუსხა (ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია შესაბამისი დადებითი საექსპერტო დასკვნით, საპროექტო დოკუმენტაციის მიღება-ჩაბარების ხელმოწერილი აქტის ასლი, მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილება მოწონების თაობაზე, ა.შ.):
დროის განრიგი	*გთხოვთ მიუთითეთ პროექტი ერთწლიანია თუ მრავალწლიანი:*
	გთხოვთ მიუთითეთ კონტრაქტორთან ხელშეკრულების გაფორმების დაგეგმილი თარიღი (თვე):
	გთხოვთ მიუთითეთ პროექტის დასრულების დაგეგმილი თარიღი

	გთხოვთ, დანართ 1-ში წარმოადგინოთ განხორციელების დეტალური გეგმა აქტივობების დონეზე (გრანტის დიაგრამა):
პროექტის სავარაუდო ბიუჯეტი და მოთხოვნილი გრანტი (ლარი)	*გთხოვთ, დეტალურად აღწეროთ, თუ როგორ იქნება უზრუნველყოფილი დაფინანსება. არის თუ არა ეს ფინანსური სახსრები უკვე გამოყოფილი გრანტის მიმღების ბიუჯეტში?* *გთხოვთ, შეავსოთ დანართი - პროექტის ბიუჯეტი:*
	პროექტის მთლიანი ღირებულება:
	მოთხოვნილი გრანტის მთლიანი ღირებულება:
	თანადაფინანსების ოდენობა:
	სხვა წყაროებიდან დაფინანსების ოდენობა:
ხარჯების კატეგორიები	*გთხოვთ, წარმოადგინოთ ინფორმაცია დანახარჯების კატეგორიების შესახებ, დანართი N3 გამოყენებით:*
რისკების მართვა	*გთხოვთ, აღწეროთ ის პოტენციური შიდა და გარე რისკები, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინონ პროექტის განხორციელებაზე:*
	გთხოვთ, აღწეროთ ამ რისკების შემცირების/მართვის ღონისძიებები:

4. კულტურულ, გარემოსდაცვითი და სოციალურ პრინციპებთან შესაბამისობა

შესაბამისობა ანტი დისკრიმინაციულ პრინციპთან	*გთხოვთ, აღწეროთ, რა ზემოქმედება ექნება პროექტს სხვადასხვა სოციალური ჯგუფებისა და გენდერულ ჭრილში თანასწორ მოპყრობაზე:*
გარემოზე ზემოქმედება	*გთხოვთ, აღწეროთ, თუ რა გავლენას მოახდენს პროექტების განხორციელება გარემოზე:*
პარტნიორობის პრინციპის განხორციელება	*გთხოვთ, აღწეროთ პროექტის ფარგლებში როგორ იქნება დაცული პარტნიორობის პრინციპი, როგორ არიან პარტნიორები ჩართულნი პროექტის მომზადებასა და განხორციელებაში:*

თარიღი:

ხელმოწერა (მთავარი) განმცხადებლის სახელით:

დანართი 3. აქტივობების ბიუჯეტი და დროის განრიგი

აქტივობების ბიუჯეტი

აქტივობა	განხორციელების დაწყება	განხორციელების დასრულება	საერთო ღირებულება ლარებში	მონაწილეობა ლარებში			სრიგპ-დან მოთხოვნილი გრანტის მოცულობა პროცენტებში პროექტის საერთო ღირებულებასთან მიმართებაში	თუ პროექტი მრავალწლიანია, გთხოვთ, წარმოადგინოთ სავარაუდო ჩაშლა წლების მიხედვით			
				გრანტი სრიგპ-დან	საკუთარი სახსრები	სხვა დაფინანსება		2020	2021	2022	2023
აქტივობა 1											
1.1											
1.2											
1.3											
....											
აქტივობა 2											
2.1											
2.2											
2.3											
....											
აქტივობა X											
x.1											
x.2											
x.3											
....											
სულ											

დროის განრიგი

აქტივობა	განხორციელების პერიოდი თვეებში. გთხოვთ, მიუთითეთ კონკრეტული თარიღები																				
		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	…	….
აქტივობა 1																					
ქვეაქტივობა 1.1																					
1.2																					
1.3																					
….																					
1.5																					
აქტივობა 2																					
ქვეაქტივობა 2.1																					
2.2																					
2.3																					
….																					
2.5																					
აქტივობა 3																					
ქვეაქტივობა 3.1																					
3.2																					
3.3																					
….																					
სულ																					

დანართი 4. შეფასების კრიტერიუმები

შენიშვნა: წარმოდგენილია ზოგადი (უნივერსალური) შეფასების კრიტერიუმები. საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიას შეუძლია ის შეცვალოს მოგვიანებით, კონკრეტული კონკურსის სპეციფიკისა და ღონისძიების შინაარსის გათვალისწინებით. ტექნიკური შეფასების ქულა იძლევა პროექტზე გრანტის გამოყოფის საფუძველს.

<u>წარდგენილი პროექტი, რომელიც ვერ გაივლის ადმინისტრაციულ და შესაბამისობის შემოწმებას არ განიხილება.</u>

<u>ქულების მინიჭების ტექნიკური სახელმძღვანელო (შეფასების კრიტერიუმები) / ქულების მინიჭების პრინციპები:</u>

0 = **მიუღებელი** ან იმ შემთხვევაში, როცა დოკუმენტური მტკიცებულება ვერ აკმაყოფილებს კრიტერიუმს ან ვერ ხერხდება მისი შეფასება ინფორმაციის არარსებობის ან არასრული ინფორმაციის გამო.

1 = **ძალიან ცუდი**, იმ შემთხვევაში, როდესაც კრიტერიუმი <u>არასათანადოდ სრულდება</u> ანუ არსებობს მნიშვნელოვანი სუსტი მხარეები.

2 = **ცუდი**, იმ შემთხვევაში, როცა მტკიცებულებები მხოლოდ <u>ზოგადად შეესაბამება კრიტერიუმს,</u> ანუ არსებობს მნიშვნელოვანი სუსტი მხარეები ან/და რისკები.

3 = **სათანადო**, იმ შემთხვევაში, როცა <u>მტკიცებულებები კრიტერიუმს კარგად აკმაყოფილებს</u>, მაგრამ არსებობს მნიშვნელოვანი სუსტი მხარეები ან/და რისკები.

4 = **კარგი**, <u>იმ შემთხვევაში, როცა მტკიცებულება კრიტერიუმს ძალიან კარგად აკმაყოფილებს</u>, მაგრამ არსებობს გარკვეული ნაკლოვანი მხარეები.

5 = **ძალიან კარგი**, <u>იმ შემთხვევაში, როცა მტკიცებულება აკმაყოფილებს კრიტერიუმის ყველა შესაბამის ასპექტს</u> და ნაკლოვანი მხარე არ არსებობს ან უმნიშვნელოა.

I. ერთეტაპიანი პროცედურა

ადმინისტრაციული და შესაბამისობის შემოწმება

განაცხადი მოთხოვნილი ფორმატით არის წარდგენილი	☐
გამოცხადებული კონკურსით მოთხოვნილი დოკუმენტები თანდართულია	☐
არსებობს მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილება პროექტის მოწონებისა და შემდგომი მსვლელობის მისაცემად შესაბამისი ღონისძიებების განხორციელების თაობაზე	☐
განაცხადი წარდგენილია უფლებამოსილი ორგანოს მიერ	☐
პროექტი ხორციელდება უფლებამოსილ რეგიონში	☐
პროექტი ხორციელდება შესაბამისი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე	☐
პროექტის ხანგრძლივობა არ არის მოთხოვნილზე ნაკლები ან მეტი	☐
საკონკურსო პირობებით დადგენილი თანადაფინანსების მოთხოვნა სრულდება	☐
პროექტი გარემოს დაცვის თვალსაზრისით ნეიტრალურია ან დადებითია (უარყოფითი გავლენის შემთხვევაში, წარმოდგენილია შესაბამისი დასაბუთება)	☐
პროექტი იცავს ანტიდისკრიმინაციის პრინციპს	☐
პროექტის შინაარსი შეესაბამება ღონისძიების/ქვე-ღონისძიების გამოცხადებული კონკურსის პირობებს	☐
საკონკურსო პირობებით მოთხოვნილი დოკუმენტები წარდგენილი და ქმედითია (ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა, რეგენერაციის გეგმა, ა.შ.)	☐

ტექნიკური ქულების მინიჭება

პროექტის შესაბამისობა ღონისძიების/ქვეღონისძიების მიზანთან/მიზნებთან	**40**
გავლენა სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე დასაბუთებულია	5 x 2
პროგრამისთვის/ღონისძიებისთვის განსაზღვრულ კონკრეტულ ინდიკატორებზე პროექტის გავლენის ხარისხი*	5
კავშირი პროექტის განხორციელებასა და ბიზნესის განვითარების შესაძლებლობებს შორის	5 x 2
დადასტურებული კავშირი სხვა პროექტებთან ან/და სრიგპ-ის სხვა ღონისძიებებთან **	5 x 2
პროექტის შესაბამისობა ადგილობრივი ეკონომიკური გეგმით განსაზღვრული პრობლემების მოგვარებასა და პოტენციალის გამოყენებაზე	5
პროექტის შედგენისა და განხორციელების მიდგომის ხარისხი	**35**
პრობლემის ანალიზის ხარისხი (მიზეზ-შედეგობრივი კავშირი)	5 x 2
პრობლემებზე რეაგირების თანმიმდევრულობა	5
პროექტის აქტივობების და საბოლოო შედეგების ურთიერთთავსებადობა	5
პროექტის მოსალოდნელი მყისიერი და მოსალოდნელი შედეგების მაჩვენებლების სანდოობა	5
დროის განრიგის გონივრულობა	5
პროექტის შედეგების მდგრადობის დასაბუთება	5
ბიუჯეტი და დანახარჯების ეფექტიანობა	**25**
ბიუჯეტის თანაზომადობა მიზანთან (დანახარჯებსა და შედეგებს შორის შეფარდება)	5 x 2
პროექტის აქტივობების ღირებულების სათანადო განფასება	5
თანადაფინანსების მოცულობა და თანადაფინანსების წყაროების სანდოობა	5 x 2
სულ	**100**

** მაგალითად, ღონისძიება 4.2 ხელს უწყობს შემდეგს: ბიზნესის ბრუნვა, ვიზიტორთა რაოდენობა, ენერგიის ეფექტური გამოყენება და ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება; იმ შემთხვევაში თუ პროექტს გავლენა აქვს ერთზე მეტ ინდიკატორზე, იგი ავლენს უფრო მეტად ინტეგრირებულ ხასიათს და მას უფრო მაღალი ქულა უნდა მიენიჭოს.*

*** მაგალითად, ღონისძიებისთვის 4.2, ასეთი შეიძლება იყოს ღონისძიება 4.1 და 4.3*

შეფასების შედეგი წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ ფორმატში

პროცესი	**დიახ/არა**	**ქულა**
ადმინისტრაციული და შესაბამისობის შემოწმება		[redacted]
ტექნიკური ქულების მინიჭება		
შემფასებლის რეკომენდაცია	*მოკლე განმარტება საპროექტო წინადადების სრული განაცხადის შეფასების, რეკომენდაციისა და წინასწარი შერჩევის თაობაზე*	

წარმოდგენილი საპროექტო წინადადების სრული განაცხადის შეფასების შემდეგ, შესაბამისი სამსახური ამზადებს განაცხადების ჩამონათვალს, სადაც წარმოდგენილია შემოწმების შედეგები და ქულები, დადებითი ან უარყოფითი რეკომენდაციით.

II. ორეტაპიანი პროცედურა

საპროექტო იდეა

ადმინისტრაციული და შესაბამისობის შემოწმება

განაცხადი მოთხოვნილი ფორმატით არის წარდგენილი	☐
გამოცხადებული კონკურსით მოთხოვნილი დოკუმენტები თანდართულია	☐
განაცხადი წარდგენილია უფლებამოსილი ორგანოს მიერ	☐
პროექტი ხორციელდება უფლებამოსილ რეგიონში	☐
პროექტი ხორციელდება შესაბამისი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე	☐
პროექტის ხანგრძლივობა არ არის მოთხოვნილზე ნაკლები ან მეტი	☐
საკონკურსო პირობებით დადგენილი თანადაფინანსების მოთხოვნა სრულდება	☐
პროექტი გარემოს დაცვის თვალსაზრისით ნეიტრალურია ან დადებითია (უარყოფითი გავლენის შემთხვევაში, წარმოდგენილია შესაბამისი დასაბუთება)	☐
პროექტი იცავს ანტიდისკრიმინაციის პრინციპს	☐
პროექტის შინაარსი შეესაბამება ღონისძიების/ქვე-ღონისძიების გამოცხადებული კონკურსის პირობებს	☐
საკონკურსო პირობებით მოთხოვნილი დოკუმენტები წარდგენილი და ქმედითია (ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა, რეგენერაციის გეგმა, ა.შ.)	☐

ტექნიკური ქულების მინიჭება

პროექტის შესაბამისობა ღონისძიების/ქვეღონისძიების მიზანთან/მიზნებთან	**35**
გავლენა სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე დასაბუთებულია	5 x 2
კავშირი პროექტის განხორციელებასა და ბიზნესის განვითარების შესაძლებლობებს შორის	5 x 2
დადასტურებული კავშირი სხვა პროექტებთან ან/და სრიგპ-ის სხვა ღონისძიებებთან/ქვეღონისძიებებთან *	5 x 2
პროექტის შესაბამისობა ადგილობრივი ეკონომიკური გეგმით განსაზღვრული პრობლემების მოგვარებასა და პოტენციალის გამოყენებაზე	5
პროექტის შედგენისა და განხორციელების მიდგომის ხარისხი	**45**
პრობლემის ანალიზის ხარისხი (მიზეზ-შედეგობრივი კავშირი)	5 x 2
პრობლემებზე რეაგირების თანმიმდევრულობა	5
პროექტის აქტივობების და მოსალოდნელი შედეგების ურთიერთთავსებადობა	5 x 2
პროექტის მზაობა	5 x 2
წარმოდგენილი განხორციელების ვადების გონივრულობა	5
პროექტის შედეგების მდგრადობის დასაბუთება	5
ბიუჯეტი და დანახარჯების ეფექტიანობა	**20**
ბიუჯეტის თანაზომადობა მიზანთან (დანახარჯებსა და შედეგებს შორის შეფარდება)	5 x 2
თანადაფინანსების მოცულობა და თანადაფინანსების წყაროების სანდოობა	5 x 2
სულ	**100**

** მათ შორის, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის, სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის, გაეროს განვითარების პროგრამის, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის, მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდის, სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის, აზიის განვითარების ბანკის პროგრამების და ა.შ. ფარგლებში/მიერ განხორციელებულთან, რომლებიც უფრო ადრე განხორციელდა იმ პარტნიორობის წევრების მიერ, რომელმაც დაფინანსება მოითხოვა.*

შეფასების შედეგი წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ ფორმატში

პროცესი	**დიახ/არა**	**ქულა**
ადმინისტრაციული და შესაბამისობის შემოწმება		[redacted]
ტექნიკური ქულების მინიჭება		
შემფასებლის რეკომენდაცია	*მოკლე განმარტება საპროექტო იდეის შეფასების, რეკომენდაციისა და წინასწარი შერჩევის თაობაზე*	

წარმოდგენილი საპროექტო იდეების შეფასების შემდეგ, შესაბამისი სამსახური ამზადებს განაცხადების ჩამონათვალს, სადაც წარმოდგენილია შემოწმების შედეგები და ქულები, დადებითი ან უარყოფითი რეკომენდაციით.

საპროექტო წინადადების სრული განაცხადი

ადმინისტრაციული შემოწმება

განაცხადი მოთხოვნილი ფორმით არის წარდგენილი	☐
გამოცხადებული კონკურსით მოთხოვნილი დოკუმენტები თანდართულია	☐
არსებობს მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილება პროექტის მოწონებისა და შემდგომი მსვლელობის მისაცემად შესაბამისი ღონისძიებების განხორციელების თაობაზე	☐
განაცხადი წარდგენილია უფლებამოსილი ორგანოს მიერ	☐
პროექტი ხორციელდება უფლებამოსილ რეგიონში	☐
პროექტი ხორციელდება შესაბამისი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე	☐
პროექტის ხანგრძლივობა არ არის მოთხოვნილზე უფრო მოკლე ან გრძელი	☐
საკონკურსო პირობებით დადგენილი თანადაფინანსების მოთხოვნა სრულდება	☐
პროექტი გარემოს დაცვის თვალსაზრისით ნეიტრალურია ან დადებითია (უარყოფითი გავლენის შემთხვევაში, წარმოდგენილია შესაბამისი დასაბუთება)	☐
პროექტი იცავს ანტიდისკრიმინაციის პრინციპს	☐
პროექტის შინაარსი შეესაბამება ღონისძიების/ქვე-ღონისძიების გამოცხადებული კონკურსის პირობებს	☐
საკონკურსო პირობებით მოთხოვნილი დოკუმენტები წარდგენილი და ქმედითია (ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა, რეგენერაციის გეგმა, ა.შ.)	☐
პროექტი მნიშვნელოვნად არ განსხვავდება საპროექტო იდეის განაცხადის ფორმის შინაარსისგან	☐

ტექნიკური ქულების მინიჭება

პროექტის შესაბამისობა ღონისძიების/ქვეღონისძიების მიზანთან/მიზნებთან	**40**
გავლენა სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე დასაბუთებულია	5 x 2
პროგრამისთვის/ღონისძიებისთვის განსაზღვრულ კონკრეტულ ინდიკატორებზე პროექტის გავლენის ხარისხი*	5
კავშირი პროექტის განხორციელებასა და ბიზნესის განვითარების შესაძლებლობებს შორის	5 x 2
დადასტურებული კავშირი სხვა პროექტებთან ან/და სრიგპ-ის სხვა ღონისძიებებთან **	5 x 2
პროექტის შესაბამისობა ადგილობრივი ეკონომიკური გეგმით განსაზღვრული პრობლემების მოგვარებასა და პოტენციალის გამოყენებაზე	5
პროექტის შედგენისა და განხორციელების მიდგომის ხარისხი	**35**
პრობლემის ანალიზის ხარისხი (მიზეზ-შედეგობრივი კავშირი)	5 x 2
პრობლემებზე რეაგირების თანმიმდევრულობა	5
პროექტის აქტივობების და მოსალოდნელი შედეგების ურთიერთთავსებადობა	5
პროექტის მოსალოდნელი მყისიერი და საბოლოო შედეგების მაჩვენებლების სანდოობა	5
დროის განრიგის გონივრულობა	5
პროექტის შედეგების მდგრადობის დასაბუთება	5
ბიუჯეტი და დანახარჯების ეფექტიანობა	**25**
ბიუჯეტის თანაზომადობა მიზანთან (დანახარჯებსა და შედეგებს შორის შეფარდება)	5 x 2
პროექტის აქტივობების ღირებულების სათანადო განფასება	5
თანადაფინანსების მოცულობა და თანადაფინანსების წყაროების სანდოობა	5 x 2
სულ	**100**

** მაგალითად, ღონისძიება 4.2 ხელს უწყობს შემდეგს: ბიზნესის ბრუნვა, ვიზიტორთა რაოდენობა,*

ენერგიის ეფექტური გამოყენება და ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება; იმ შემთხვევაში თუ პროექტს გავლენა აქვს ერთზე მეტ ინდიკატორზე, იგი ავლენს უფრო მეტად ინტეგრირებულ ხასიათს და მას უფრო მაღალი ქულა უნდა მიენიჭოს.
*** მაგალითად, ღონისძიებისთვის 4.2, ასეთი შეიძლება იყოს ღონისძიება 4.1 და 4.3*

შეფასების შედეგი წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ ფორმატში

პროცესი	**დიახ/არა**	**ქულა**
ადმინისტრაციული და შესაბამისობის შემოწმება		[redacted]
ტექნიკური ქულების მინიჭება		
შემფასებლის რეკომენდაცია	*მოკლე განმარტება საპროექტო წინადადების სრული განაცხადის შეფასების, რეკომენდაციისა და წინასწარი შერჩევის თაობაზე*	

წარმოდგენილი საპროექტო წინადადებების სრული განაცხადის შეფასების შემდეგ, შესაბამისი სამსახური ამზადებს განაცხადების ჩამონათვალს, სადაც წარმოდგენილია შემოწმების შედეგები და ქულები, დადებითი ან უარყოფითი რეკომენდაციით.